№ 1 თებერვალი თვნდარი 1959
ნაბეჭდი XXXVII ფოლი ფასი 2 ან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საახალწლო ვალდებულებები

ჩვენ, ქვემორე ჩამოთვლილი ორგანიზაციები და პირები, საახალწლო ნაძვის ხის წინაშე საზეიმოდ ვდებთ ფიცს:

ქუჩის საათები — დავგმობთ ქუჩურ საქციელს და ვიმუშავებთ საათივით.

თელასი — მოვიშლით ოჯახებში ნაშუალამევს სიარულს.

კინოსტუდია — თვალისჩინივით მოვუვლით ჩვენს ეზოსა და სხვის შვილებს. ახალი წლიდან ჩვენს ეზოში აღვზრდით სხვისი შვილების ახალ-ახალ კადრებს.

თბილისის რესტორნები — ახალი წლიდან ისე მოვიქცევით, რომ ჩვენს დარბაზებში კაცმა ბუზის გაფრენა ვერ გაიგონოს და მაგიდის გადასაფარებლები არ გავხადოთ ცა და ქვეყნის ხელშესახოცი.

გავშგთა სამყარო — ისეთ თვალხუჭუნა თოჯინებს გამოვუშვებთ, რომ მათ დანახვაზე ბავშვები თვალებს არ ხუჭავდნენ, ხოლო მშობლები გაიძახოდნენ კაპიკია მაგათი ფასიო.

თბილისის თეატრები — უშიშრად ავხდით ფარდას ნაკლოვანებებს და სცენასა და დარბაზში, მაყურებელთა და მსახიობთა ურთიერთგაგების საფუძველზე, მათ შორის რიცხობრივ თანაფარდობას მაინც დავამყარებთ.

ესტრადა — იმდენ სერიოზულობას გამოვიჩენთ, რომ ხალხი სიცილით კვდებოდეს.

მშენებლები — ისეთ სახლებს ავაშენებთ, რომ კედლის იქით მეზობლის საყვედურები არ გვესმოდეს და, შენობასთან გავლისას, თავსლაფი არ გვესხმოდეს.

ფოსტა-ტელეგრაფი — ისე ვიმუშავებთ, რომ ჩვენს ელვას საყვედურების სეტყვა არ მოჰყვეს და წერილების დამტარებლებმა მარცა არ „ასწიონ“.

საქართველოს მწერალთა კავშირი — ერთიმეორესაგან გავარჩევთ შავად და თეთრად დაწერილს.

თბილისის ყველა ჯურის სალარო — დღეიდან ვინც შეურაცხგვყოფს ყველას საკადრის ხურდას დავუბრუნებთ.

თბილისის ბაცაცები — სწავლა-განათლებას მოვკიდებთ ხელს, რათა ტროლეიბუსებისა და ავტობუსების გაჩერებებზე მილიციელთათვის პასუხის გაცემისას სიტყვის მოსაძებნად ჯიბეში არ ჩაგყვრეთ.

ამინდის ბიურო — ყველასათვის მოულოდნელად მოსალოდნელი ამინდის მოლოდინს გავამართლებთ.

აფთიაქები — ახალი წლიდან თხის ქონი წამლად მაინც გვექნება.

მთარგმნელები — მსგავსს უმსგავსოებას აღარ ჩავიდენთ.

განცხადებები

1. 1959 წლის აპრილის ბოლოს და მაისის დასაწყისს ბაზარზე გამოვა უამრავი ტირაჟით 1959 წლის ქართული კედლის კალენდარი. კალენდარმა რომ აქტუალობა არ დაკარგოს, წინა წლების გამოცდილების თანახმად, მასში საგანგებოდ იქნება დაშვებული სანიმუშო შეცდომები. ეს ღონისძიება ხელს შეუწყობს პრესის გამოხმაურებას.

2. გამაგრილებელი და მინერალური წყლების მაღაზიები აცხადებენ, რომ ზამთრის პერიოდში უზრუნველყოფილი იქნებიან ყინულით. ვინაიდან ყინული ვერ უძლებს მაღალ ტემპერატურას, ყინულით მომარაგება შეწყდება ადრე გაზაფხულზე.

3. თბილისის მაღაზიები მომარაგდებიან საზაფხულო პერანგებით, ტილოს შარვლებით, ტილოს ფეხსაცმლებითა და ჰილის ქუდებით.

ამავე დროს, ზამთრის პერიოდში დროებით შეწყდება ხელთათმანებითა და სხვა ზამთრის სამოსით ვაჭრობა.

4. ქართული პურის თონეებში საახალწლოდ შეწყდება ქართული პურის გამოცხობა და ისინი მთლიანად გადავლენ გოჭებისა და ინდაურების შეწვაზე, როგორც უფრო სარფიან და რენტაბელურ საქმიანობაზე.

— რაა, ბოლოს და ბოლოს, ყოველ წელს სულ ერთსა და იმავე სიმღერას რომ მღერიან?

—მე კმაყოფილი ვარ, წელს მომღერალი მაინც გამოუცვლიათ.

ცოლ-ქმართა ურთიერთოგისათვის

ამას წინათ ერთი, თუ შეიძლება ასე ეწოდოს, ინსტრუქცია წავიკითხე იმის შესახებ, თუ როგორ უნდა იქცეოდეს სახლში ქალი, რომ ქმარი კუბოს ფიცრამდე მოჯადოებული ჰყავდეს. ინსტრუქციის პირველივე მუხლი ამას ურჩევდა ქალებს:

— სამსახურიდან მოსულ ქმარს დახვდით სუფთად, სადად, კოხტად გამოწყობილი და მხიარული. არ მისცეთ შეკითხვები, სანამ არ ისადილებს, გაზეთს არ წაიკითხავს, წვერს არ გაიპარსავს და მკვდარ საათს არ გააკეთებს. არ დაუწუნოთ არავითარი საჩუქარი, რომელიც მას თქვენთვის მოაქვს. დაურეცხეთ და დაუუთოეთ დროზე. როდესაც მუშაობს, მოარიდეთ ბავშვები და გაიყვანეთ მეორე ოთახში და ა. შ.

მაღაზიაში შევიარე, ერთი კონსერვი და ოდეკოლონი ვიყიდე და ყურებამდე გაღიმებულმა სახლის კარი შევაღე.

— რას დაგიღია პირი ღლავივით და გადმოგიყრია ოცდაცხრა კბილი (ორი წინა კბილი გასულ წელს დავკარგე, ჩემ ცოლს ტუფლი გასძვრა ხელიდან და ქუსლი შემთხვევით კბილებში მომხვდა).

— აი, ინსტრუქცია მოგიტანე და წაიკითხე.

ჩემმა მეუღლემ გულდასმით გადაიკითხა ინსტრუქცია. მიყურა, მიყურა, მიყურა, მერე ის ინსტრუქცია თავზე გადამაფხრიწა, მეორე ოთახში გავიდა, ქუსლმომძვრალი ტუფლი, თვალჩავარდნილი წინდა, სამი თვის ბინის ქირის გადაუხდელი ქვითარი გამოიტანა, წინ დამიყარა და თვალებგადმოცვენილმა მკითხა:

— თვეში რამდენი დღეა?

— ხან 28, ხან 29, ხან 30 და ხან 31.—ვუპასუხე გაშეშებულმა.

— ოცდაათი რომ ორზე გავყოთ რამდენია?

ჩემი ბავშვობა გამახსენდა, მეორე კლასში რომ ვიჯექი და მასწავლებლის შეკითხვაზე სლოკინი ამივარდებოდა ხოლმე.

— თხუთმეტი, მამიკო,—მიკარნახა შვილმა დამუნჯებულს.

— თხუთმეტი,—ვთქვი მე.

— დღეს რა რიცხვია?

— თხუთმეტი,—გავიმეორე ისევ.

— თხუთმეტი სახარება გაგიწყრა შენ, ჯამაგირი მოიტანე?

ჯიბეში ხელი ჩავიყავი, ტანში შემაჟრჟოლა, ცივი ხელი რომ შიშველ ბარკალს შეეხო. ახლა უბეში ვიტაკე ხელი, მერე პალტოს ჯიბეს ვეცი, მერე პიჯაკისას და...

— ინსტრუქცია ხომ მოიტანე?

— კი, შენ მოგიტანე, გენაცვალე!

— მერე და, შენ რა ჩემი ინსტრუქტორი ხარ, შე უდღეურო!

— არა, თუ არ მოგწონს, შე ქალო, რაა საჩხუბარი, ხომ დახიე და მეტი რა გინდა! ისე, ხუმრობით მოგიტანე, თორემ რაც მაგაში ციგნობა წერია, იმის გაკეთებას შენ როგორ დაგავალებ. სად მყავს მოსაძულებელი ცოლი. შენ ეგ როგორ გეკადრება, შენ სულ სხვა იდეალებისათვის ხარ გაჩენილი.

— დამცინი, ხომ?

— რას ქვია, ქალო, რომ მომდგომიხარ ამხელა კაცს, გამოგიჭერივარ და რასაც გინდა იმას მიშვები, მე ვინ ვარ ამ ოჯახში, მე რას ვაკეთებ აქ, შენი შიშით გული როგორ უნდა მისკდებოდეს, სახლში მოსვლა როგორ უნდა მეშინოდეს? მართლა შენი ხომ არ გგონია ქვეყანა, ბოლოს და ბოლოს კონსტიტუციის ძალით მეც შენი თანასწორი ვარ თუ არა!—ავიშალე ნერვები მე.

— ვისაა, რომ უყვირი და ვის სახლშია, რომ ბღავი!—თქვა ჩემმა ცოლმა, ოთახს თვალი მოავლო და მზერა, პიანინოზე ჩამწკრივებულ მარმარილოს სპილოებს რომ წინ დიდი სპილო უძღვის, იმაზე შეაჩერა. შემეცოდა სპილო და ცოტა მოვლბი.

— რა მოხდა, შე ქალო, ჩხუბი სად გაგონილა! დავჯდეთ აგერ და ვიჭუკჭუკოთ. ხუმრობა არ იცი?

— შე ჭუკო, შენ, რა პირით მომიტანე ის ინსტრუქცია?

— კაცო, მაინც რა წერია შიგ ისეთი, რომ გაცოფდი?

— სამსახურიდან მოსულ ქმარს შეკითხვები არ მისცეო, რომ წერია შიგ, ერთხელ გნახე სახლში შენი ფეხით მოსული ისე რომ ენა გედგას პირში, და არაფერი გკითხო?!

— ნუ მომკლავ და მკითხე რაც გინდა.

— არ დაუწუნოთ არაფერი საჩუქარი ქმარსო, ამაზე რაღას მეტყვი!

— რატომ, ხომ მოგიტანე ადეკალონი.

— ადეკალონი გადისხი მაგ მონიკელებულ თავზე, პარიკმახერი ხომ არ ვარ.

— კონსერვი?

— ის არ მეყოფოდა სისხლს რომ მიშრობ და ახლა დაგვწამლო გინდა? ახლავე დაიკარგე აქედან შენი კონსერვიანად და სანამ ხელფასს არ მოიტან, ფეხი არ შემოდგა სახლში.

— ქალო, ზრდილობის გულისათვის მკითხე, იქნება მშია, ან მკვდარი საათი მინდა გავაკეთო, ან გაზეთის წაკითხვა, ან მუშაობა...

— ისევ ინსტრუქციით დამიწყე ლაპარაკი? თუ გშია, ჭამე შენი მოთრეული კონსერვი და ისეთი მკვდარი საათი გააკეთე, რომ აღარ გაიღვიძო. მერე გაზეთიც აღარ დაგჭირდება და აღარც სამუშაო. იქნებ ბავშვები გაწუხებენ, ხომ არ გინდა მეორე ოთახში გავიყვანო, ა? რას ჩაგიწყდა ენა, შე უმსგავსო? ინსტრუქციით გინდა მუშაობა?

საქმემ ისეთი რთული ხასიათი მიიღო, სასწრაფოდ ავკრიფე კონსერვი, ოდეკოლონი, ქუდი და გარეთ გამოვვარდი.

— ინსტრუქცია დაგრჩა,—გადმომძახა ცოლმა ქუჩაში მიმავალს და ნაკუწ-ნაკუწად ქცეული ჩემი უბედურების მიზეზი პროკლამაციასავით თავზე გადმომაყარა.

ამჟამად, ერთ-ერთი ნათესავის ოჯახში შეხიზნული, დღეში სამჯერ ვუგზავნი ჩემს ცოლს დიპლომატიურ წარმომადგენლებს, შერიგებას ვთხოვ. ცოლი ჯერ ყოყმანობს, მაგრამ თვის ბოლოა, ჯამაგირის დრო ახლოვდება და, ალბათ, დამთანხმდება.

სწორედ ჯამაგირის მიღების დღეს მომივიდა თანხმობა ცოლისგან თათბირის შესახებ. შეკრების დღედ კვირა იყო არჩეული. თათბირის პირობები და რეზოლუციის პროექტი, ჩემი ცოლის მიერ შედგენილი, წინასწარ გამაცნეს. იგი შემდეგ პუნქტებად იყოფოდა:

1. არავითარ შემთხვევაში სამსახურიდან მოსულმა ქმარმა არ უნდა შეაწუხოს ოჯახი. უნდა ისე მოიქცეს, ვითომ და ამ ქვეყანაზე არც ყოფილა.

2. თუ შია, ყოველგვარი შეკითხვების გარეშე შეეთრიოს სამზარეულოში და ჭამოს, თუ დახვდა რამე, თუ არა და გამოეთრიოს და დაეგდოს ტახტზე და, სანამ არ მოწყინდება, აკეთოს ეგრეთ წოდებული მკვდარი საათი.

3. რაც შეეხება გაზეთის კითხვას, ქმარმა უნდა იცოდეს, რომ სახლი სამკითხველო არ არის, და რომ ქალები გაზეთს წასაკითხად არ ყიდულობენ.

4. თვითონ დაირეცხოს და დაიუთოოს.

5. საჩუქრები იყიდოს ცოლის ამორჩევითა და დავალებით, წინააღმდეგ შემთხვევაში მოტანილი ნივთები დაეფშვნება თავზე.

6. როდესაც ბავშვები თამაშობენ, გაეთრიოს გარეთ და დაელოდოს სანამ დაუძახებენ სახლში.

7. დროზე მოიტანოს ჯამაგირი და ჩააბაროს ცოლს კაპიკ-კაპიკ.

8. დილით ადგეს, დახვეტოს ოთახი, დაადგას ჩაი, ასაუზმოს ბავშვები სამსახურში წათრევის წინ, ჩაუწიოს ნავთქურას, ფეხაკრეფით მივიდეს ცოლის საწოლთან, შუბლზე აკოცოს ცოლს და უხმოდ გაიპაროს. მსგავსი შრომა ალამაზებს ადამიანს.

9. თუ ზემოთ ჩამოთვლილი პირობების შესრულება მამაკაცის ძალღონეს აღემატება, ჯობია საერთოდ არ მოვიდეს სახლში.

რეზოლუციის პროექტს გულდასმით გავეცანი, ავწონ-დავწონე, ბევრი ვიფიქრე, დავწყევლე ის საათი, როდესაც ცოლს ინსტრუქცია მივუტანე და აღნიშნულ პირობას ხელი მოვაწერე.

გზა დამილოცეთ, მეგობრებო, ცოლთან მოსალაპარაკებლად მივდივარ. მივდივარ და როგორც ანდერძს, გიტოვებთ უკვდავ სიტყვებს:

— ადამიანებო, იყავით ფხიზლად!

ჯვეფე დუმბავა

ქუჩა

(ტიუდი ერთ გაფიკრებად)

მე მაქვს სახლი ქუჩის პირას. მაშასადამე, მე მაქვს ქუჩა სახლის წინ. სახლს კარები აქვს არა შიგ შესასვლელად, არამედ ქუჩაში გამოსასვლელად.

ქუჩა ზღვაა, ქუჩა ღიმილია, ქუჩა პაერია.

წარმოიდგინეთ, არ იყოს ქუჩა!

რა ეშველებოდა ტრანსპორტის ამდენ სახეობას.

რა ეშველებოდა მოდური «ეიგეეისა» და ნეილონის ქუჩრის პაგრონებს.

უფრო მეტიც: ქუჩა რომ არ ყოფილიყო, ადამიანი სიარულს არ ისწავლიდა.

ქუჩაში დგას მილიციელი (მე იგი არასდროს არ მინახავს სახლში).

რატომ დგას მილიციელი ქუჩაში? იმიტომ, რომ ქუჩა სავსეა მოულოდნელობით, მაგრამ არა ისე სქემატურად. როგორც ფილმში «ქუჩა სავსეა მოულოდნელობით».

ქუჩაში დგას ავტონსპექტორიც. რა განსხვავებაა მილიციელსა და ავტონსპექტორს შორის? პირველი აჯარიმებს ფეხით მოსიარულეებს, მეორე კი—მანქანაში მყოფთ.

ქუჩაში დადის ტაქსი. ორი იმდენი დადის «გეზუ». ეს ნიშნავს: გაუფრთხილდით ფეხებს!

ქუჩაში ჩკიდია საათი. იგი აღნიშნავს მხოლოდ პაემანის აღგილს.

ქუჩაში დგანან ლოთებიც. უფრო სწორად: მათ უნდათ, რომ იდგნენ.

ქუჩაში გუნავთ მზე და მზით დამწვარი ქალიშვილები.

ქუჩაში შეეჩეხებით მეგალეს, რომელიც იძულებულია თქვენს მაგივრად გაწითლდეს.

ქუჩაში შეხვდებით გულის ვარდს და სასამარილოში დაცილდებით.

ქუჩაში კარგავთ ფულს და იძენთ ნაცნობებს.

აი, თქვენ ამბრვეთ მამაკაცს: შემოლილ სახით, რომელიც გამოქცეულია ოჯახურ დრამას და ბოლმას სუფთა ჰაერზე ოხსნს.

ქუჩაში იბადება დიდი პრობლემები (ბავშვი იბადება სახლში).

ქუჩის ხმაურში იქმნება პოეტის პირველი წიგნი და აქვე იყიდება წიგნის კვირეულთან დაკავშირებით.

ქუჩაზე შენდება მრავალსართულიანი სახლები და სამსართულიანი გინება.

ქუჩაში გაიგონებთ სიმღერებსაც.

ღამით ქუჩა სწყვეტს სიცოცხლეს. იგი ისვენებს, რათა დილით კვლავ ფეხქვეშ გიგაოს ადამიანებს.

ჭარი ჭარალიშვილი

ოგიექტური კარიკატურა

გატენილი ქისით ჩამოვიდა და სტაციანი ქალიშვილიც ჩამოიყვანა. ქალწულს ჩემოდნები ნაირ-ნაირი კაბებითა და თავიც სარკესავით პრიალა ქალწულებრივი ტვინით ჰქონდა გატენილი.

ქართული „აკანე-იკინე“ იცოდა. გერმანულიც ასევე.

ისტორიაში მარტო თარიღები, რევოლუციები, ომები, აჯანყებები და მსგავსი წვრილმანები ავიწყდებოდა.

განსაკუთრებულ ნიუს გალობაში აჩენდა. ისე მღეროდა, რომ ვერც ერთი ყური ვერ უძლებდა თავისი და თავისიანების გარდა. ეს კი რა გასაკვირია. შენიანს რა უფუტა აქვს არ გიგიძლოს!

რუსულზე, ცოტა არ იყოს, უკაცრავად იყო. თუმცა, სამაგიეროდ, ქალმთ ფიგურილი „პოჩერკა“ ჰქონდა. სიტყვების მნიშვნელობა არ ესმოდა და აზრს ვერ იგებდა, თორემ ისეთ ასოებს ჩაწიკწიკებდა, რომ გეგონებოდათ, საცაა დაელურს დაუვლიანო.

„კრასავიცა“ არ იყო, მაგრამ წაბლისფერ თვალებს ისე ნაბადა, რომ თავსლაფი დავასხი უნიჭო მსახიობებს.

კოლმეურნეობაში ერთი დღეც არ უმუშავია, მაგრამ ახალ-ახალი მოდენის შემოსვლას პირველად მისგან იგებდა მთელი რაიონი და, ვინა თქვა, რომ ეს ნაკლები დამსახურებაა. მამა ხილის დამამზადებელი იყო და სტაციის საბუთის ზოვნა რაღის გაუჭირდებოდა, სეერლოოსკენ გაყიდული რვა კილო ტყემლის საფასურიც კი არ დაეხარჯებოდა.

ტაქსით მისრიალდნენ, ზარი დარეკეს და ის-ის იყო მტრედივით მოფართხალე გულებით ლოდინს უნდა შედგომოდნენ, მაგრამ ვინ აცალა... კარები ფართოდ გაიღო და...

— გთხოვთ,—გამოეგება რუსული ენის გამომცდელი.

გამომცდელი ეშმაკარიტად კეთილი ქალი იყო: სულ რაღაცა ხუთათასად მკვდარს გააცოცხლებდა. ჰოდა, ხუთი ათასი რა სახსენებელია, როცა ნიეიერი ბაალგაზრდის ბედი წყდება. ბევრ ჩაჩინს მოუკვდეს თავი: ჩვენი მოვალეობაა ხელი შევეწყოთ და ყოველ ფიქს ნაბიჯზე წავაკეზოთ ნიეი.

ქალი რომ იყო, იმიტომ ჯერდებოდა ამ-ეთ უმნიშვნელო თანხას, თორემ, აბა ერთი, კაცი ყოფილიყო, სულ სხვაა კაცის მასშტაბი, ქალი კაცთან რას მოვა!

დაიდო ზეპირი ხელშეკრულება და გატენილ ქისას თავი მოუხსნეს. ოთახში ნაფტალინის სუნი დადგა (როცა ნაფტალინი გამოგონებული არ იყო, ნეტავი ფუღს როგორ ინახავდნენ!)

— რუსული იცი?

— რა ვიცი.

— „პოჩერკი“ როგორი გაქვს?

— კლასში პირველი ვიყავი.

— აბა, დამიწერე „კაროვა“.

— „კოროვა“ უნდა დაგეწერა. „კაროვა“ ითქმის, მაგრამ „კოროვა“ იწერება.

— რა არის „ყოროვა?“

. . . . . .

რაკი ქალიშვილმა არ იცოდა „ა“ როდის იწერება და „ო“ როდის, შეთანხმდნენ, კარნახის დროს „ა“-ს გაიგონებდა თუ „ო“-ს, მაინც „ი“ დაეწერა, რადგანაც „ი“-ს „ა“-დ გადაკეთებაზე ადვილი რაა და ისიც გამოცდილი გამომცდელისათვის.

“ᲐᲐ“-ს ადგილას უბრალო „ᲘᲘ“ ივარგებდა. რბილი ნიშანი თუ დააკლებოდა, ეგ ვითომც არაფერი, ამასაც ადვილად მოვევლებოდა და ასე შემდეგ და ასე და ამგვარად.

ქალიშვილი დამჯერე იყო და, როგორც დაარიგეს, ისე „ჩაიპოჩერკა“. აი მისი ნაშრომიც:

Горун бежол бистрее лони
Бистрее, чем зояц от орло;
Бежол он в строхе с поля
броні
Где кров черкесская текло.
Отец и дво родние брото
Зо чест и волност том легли
И под пятои у супостото
Лежот их голови в пили.
Их кров течет и просит мщения,
Горун зобил свои долг и
стид,
Он ростерял в пилу
срожения
Винтовку, шошку—и бежит.

— სტაციანია და „სამიანი“ ისე ეყოფა, რომ ყელში ამოუვიო,—გაიფიქრა გამომცდელმა და გადაწყვიტა ობიექტური ნიშანი დაეწერა. ზოგი „ᲝᲐ“ „ᲐᲐ“-დ გადააკეთა, ზოგს ხელი არ ახლო. ამ სიტყვების უცოდინარობა საშუალოდამთავრებულს კი არა, ზოგიერთ ლექტორს არ დაეძრახებაო, და ის-ის იყო ნიშანი უნდა დაეწერა, რომ ბრა დაეხარა, კონტროლი ტანტანებშიც ვრთს და „სამიანი“ არ ეკარგა. გამომცდელმა ეს ყოველნაწილნი მიიღო ობიექტურად ზომები, კიდევ შეასწორა ნაწერი და ჩიხური კალამი მოიმარჯვა ნიშნის სხვა ფერის მელნით დასაწერად, რომ ახლა უფრო სარწმუნო წყაროდან მოვიდა ცნობა—„ხუთიანი“ თუ არ მიიღო, სტაციანი ამბიციურიენტაც უთუოდ გარეთ დარჩებაო.

ქალწული გასტუდენტდა და თავი ახლოს ქალწულებრივი ტვინითა აქვს გამოტენილი.

გამომცდელი, რაც დრო გადის, უფრო და უფრო სქელდება. ხალხს რომ კითხო, უნიჭო ამბიციურიენტების სახსრებით ჯიბე რომ გაიქელა, იმან გააქელაო.

ხალხს რომ ყური უგდო, გაგიჟდები. ჩვენი გამომცდელი ხალხს ყურს არ უგდებს და გიყიდა, რომ გაგიდგეს?

ორნი

ᲐᲮᲐᲚ ᲑᲘᲜᲐᲨᲘ

ნახ. ზ. ნიფარაძისა

— ხოლომაზ, ჩემი ხმა გესმის?
— მესმის კი არა, ჯეფდაკ, შე კაცო!

ᲜᲣ ᲓᲐᲐᲬᲘᲜᲐᲣᲠᲔᲑᲗ!

უმტატო იყო. ისე წერდა, რომ არა უშავდა რა და ᲨᲘᲠᲘᲐᲓᲐ უბეკდავდნენ.

მოკრძალებულიც გასდადათ. პირზე სელ ღიმილი ეკერა. ფეხაკრეფით მიმოდიოდა და თავაზიანად ეპყრობოდა დიდსა თუ მცირეს.

შტატში ჩარიცხეს. რიგითი მუშაკი გახდა და უკვე აღარ ეპიტნავა უმტატობა.

მოკრძალებული თანამშრომლებთან იყო მხოლოდ. პირზე ღიმილი მათთან ეკერა, ფეხაკრეფით მათთან მიმოდიოდა და თავაზიანად ეპყრობოდა ეიდსა თუ მცირეს.

დაავინაურეს.

ახლა პირზე ღიმილი უფროსებთან ეკერა და ფეხაკრეფით მათთან მიმოდიოდა ᲨᲘᲠᲘᲐᲓᲐ. ალბათ ერთ ტაფაზე რომ ეეღარ დაატია დიდიც და მცირეც: უმცროსებთან გაუტკა ღიმილი და ფეხებიც გადაეხვიენენ აკოფას.

წუხდა ხასითი.

შეძლება თავი ყველას და „ᲨᲘᲠᲘᲐᲓᲐ“.

ახლა უმტატია ისევ. ისევ ისე წერს, რომ არა უშავს რა და ᲨᲘᲠᲘᲐᲓᲐ.

მოკრძალებულია. პირზე ისევ გაუწნდა ღიმილი და დიდსა თუ მცირეს თავაზიანად ეპყრობა.

ადამიანებო! ცუდი ბიჭი არა და, თუ ისევ აიკვანთ შტატში, ღმერთი ნუ გაგიწყრებათ და ნუ დაავინაურებთ,—ცოტა კიდევ მაყურებინეთ მისი ღიმილისათვის!

ᲥᲐᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ნახ. ჯ. ლოლუაანი

— რატომ არ ილება ეს უჯრები?
— რომ განცხადებები არ ჩაკეტოთ.

ᲞᲔᲞᲔᲚᲐ ᲒᲐᲡᲐᲭᲘᲠᲨᲘᲐ

ახალი წლის დამდეგამდე ქარხანას სამინისტროდან წარმომადგენელი ეწვია. არაა აუცილებელი ვიცოდეთ—რევიზორი იყო თუ კონტროლიორი. მთავარია, რომ ქარხნის მუშაობას ამოწმებდა.

— როგორ გაქვთ ნედლეულით ქარხნის მომარაგების საქმე?

— წერილები გავგზავნეთ, თხოვნა მივაშველეთ, არც ხელწაა დაგვიკლია. ათამდე შეხსენება გვქონია გაგზავნილი დღემდეშინ. არაფერი გამოდის.

— წერილები და დეპეშა, მოთხოვნა და შეხსენება,—გულმოსულად ჩაიცინა შემმოწმებელმა.—უსულო წერილებს ანდობთ ქარხნის ბედს. ადამიანები უნდა აამოძრაოთ, ადამიანები!

«ნედლეულით მომარაგების საკითხი კატასტროფის წინ დგას. ამ საქმეში ქარხნის ხელმძღვანელობის მონაწილეობა მხოლოდ იმით ამოიწურება, რომ წერილებსა და შეხსენებებს წერენ», მიართვა მოხსენებითი ბარათი შემმოწმებელმა მინისტრს.

— მინისტრმა შემმოწმებელი ახლა ფაბრიკაში გაგზავნა.

— როგორ გაქვთ ნედლეულით ფაბრიკის მომარაგების საქმე?

— მიწერ-მოწერითია და შეხსენებით რომ არაფერი გამოვიდა, კაცი ეაფრინეთ ადგილზე. იმან იქ იდავა, იდავიდარაბა, ფქვენც გაგიკვირდებათ! შედეგად საჭირო ნედლეული მხოლოდ წლის ბოლოს მოგვაყარეს. იმათ საქმე შესრულებულად ჩაეთვალათ, ჩვენ კი საქმეს ვერ აუვედით.

— კაცი აფრინეთ? ფრენიები გაიჩინეთ?—ირონიულად ჩაიცინა შემმოწმებელმა.—კაცს აქ სამუშაოს აცდენთ და იქ სიარულში სამივლინეთ თანხებს ბაპანდებთ! ეს ხომ დაუშვებელია?!

და კიდევ მოასწრო ახალწლამდე ერთი მოხსენებითი ბარათის დაწერა მინისტრის სახელზე.

... რა ქნას პეპელამ?

გ. ფრენიაძე



ზღვა, ზღვა და სიყვარული

როგორ ვიმგზავრეთ ორიგინალურად და გადასარევად

ათასი მანეთი მივიღე 27-ში. 28-ში თუხარელების ბინაზე გადაწყდა ჩვენი გამგზავრების თარიღი. მივდივართ ხვალ საღამოს. დღის წესრიგში რჩება ერთადერთი საკითხი—ბილეთები. ოთხი ბილეთის შოვნა ერთ ვაგონში, ზაფხულში, ზღვისკენ მიმავალ მატარებელზე,—ეს არის ფანტაზია და ცოტა უფრო მეტი.

დილით პროფესორმა რკინიგზის სამმართველოში დარეკა. შუადღეზე ცნობილი გახდა, რომ ოთხის ნაცვლად საღამოსთვის იქნება მხოლოდ ორი ბილეთი.

თენგიზსა და ნიკოს როცა ვუთხარი, რომ მათთვის ბილეთების შოვნა არ მოხერხდა, პადხალიმი მიწოდეს. მე ავუხსენი, რომ პადხალიმი უცხო სიტყვაა და ქართულად მლიქვნელს ნიშნავს. საპადხალიმო ლონდას მამის წინაშე არაფერი მაქვს, რადგან «მასალათა გამძლეობა» უკვე ჩავაბარე და მატრიკულში სამიანი მიწერია. თენგიზმა და ნიკომ თქვეს, რომ მე შეყვარებული სიმონა ვარ და თუხარელის ქალიშვილზე ვგიჟდები.

ღამის ათი საათია. ბაქანზე ვდგავართ თენგიზი, ნიკო, მე, ლონდა და ლონდას თანმხლები პირები. ჩვენს შორის არ არის მხოლოდ პროფესორი თუხარელი, რომელიც ბილეთისთვისაა წასული.

თენგიზსა და ნიკოს თავი ქუდში აქვთ; რადგან ნაცნობი პრავადნიკი შეპპირდა წაყვანას.

გავიდა ხუთი წუთი. ელლავენ თუხარელები.

— მოდის!—იყვირა ვიღაცამ.

— ადამიანო, სადა ხარ ამდენ ხანს!?—იკივლა ლონდას დედამ.

— ბილეთები არ არის,—თქვა პროფესორმა.

ლონდას დედის გარდა ყველამ წამოვიძახეთ «აა». მან ამის თქმაც ვერ მოახერხა.

— ახლა რა ვქნათ?—ჰკითხა ლონდამ.

— ახლა სახლში წავიდეთ და სხვა დროისთვის გადავდოთ.

— მე მივდივარ მხოლოდ დღეს ან არასოდეს.—თქვა ლონ,ამ.

ჩემოდანი გამომართვა და ვაგონის კიბეზე შედგა ფეხი.

— ეე, ბარიშნა, თქვენი ბილეთი,—გზა გადაუღობა პრავადნიკმა.

— ჩვენთან არის, ჩვენთან.—აუხსნა თენგიზმა.

მე უკან ავყევი.

— ამხანაგო, შენ სად მიდიხარ?

— მეც მაგათთან ვარ.

— დაიცა, ამდენი სად მიძვრებით. აგრე არ მოვლაპარაკებულვართ, შენ ვინა ხარ, კაცო?

— მე პროფესორი თუხარელი ვარ.

— მერე ბილეთი მაჩვენე თუ პროფესორი ხარ. თუხარელმა ჯიბეები მოიქექა.

— ინებეთ.

— ეს რა არის?

— ჩემი პირადობის მოწმობა.

— მე, ძმაო, მატარებლის ბილეთი მინდა.

— ამ წუთში აგიხსნით... ეს სულ შემთხვევის ამბავია, მაგრამ ამ მომენტში საქმე გვაქვს აუცილებლობასთან, რომელიც...

— თუ კაცი ხარ, ქართულად ილაპარაკე.

— ჩემი ქალიშვილი ამ მატარებლით აპირებს წასვლას. საქმე იმაშია, რომ ბილეთი არა აქვს და... ფული ინებეთ.

— ასე კაცურად გეთქვათ თავიდან.

მატარებელი დაიძრა. ლონდა ფანჯრიდან თავისიანებს ამშვიდებს.

— ჩემს სიცოცხლეში პირველად ვმგზავრობ უბილეთოდ. ეს იქნება ორიგინალური და გადასარევი.

— ლონდა, ბევრი ჭამე!

— ადრე დაიძინე!

— გვიან ადექი!

მატარებელმა სვლას უმატა. აფორიაქებული ბაქანი უკან მოიტოვა.

ვიჯყლიტებით. ჩვენი რაზმის სათავეში დგას ლონდა. ზღვაზე წამსვლელ ქალიშვილს აცვია შავი სვიტრი, და როდესაც ვუყურებ, სიცხით ვიწვები.

— რა ვქნათ?—ვეკითხები თენგიზსა და ნიკოს.

— მომყევით,—მათ მაგივრად ამბობს ლონდა და ჩვენც უხმოდ ვემორჩილებით ამ ბრძანებას.

— ჩემოდნები მხარზე.

— არის, ჩემოდნები მხარზე!

— მოქალაქევ, აიღეთ თქვენი ჯოხი.

— ეს ჯოხი არ გახლავთ, ფეხია.

ბოლოს, როგორც იქნა მივაღწიეთ ჩვენს «პრავადნიკამდე».

— აი, პრავადნიკ, მოვედით. ახლა რა ვქნათ?

— ამ თაროებს ხომ ხედავთ?—ჭერზე გვიჩვენებს პრავადნიკი,—ქვეშაგებებს ჩამოვიღებ და ბიჭები იქ დაწვება. ქალიშვილი ჩემთან წამოვიდეს კუპეში.

ყველამ ლონდას შევხედეთ.

— მეც მაღლა ავალ,—თქვა თუხარელის ასულმა,—ასე მგზავრობა იქნება წარმოუდგენლად ორიგინალური. პრავადნიკ, გაოცება მოიშორეთ სახიდან და საქმეს მიხედეთ. შრომა ალამაზებს ადამიანს.

ბოლოს, როგორც იქნა გათენდა. მეზობელ კუპეში დაიყივლა მამალმა. ფანჯრებიდან გამოჩნდა ზღვა. ვაგონში შეიქნა ხმაური. საპირფარეშოებთან დადგა რიგი.

მალე ჩვენი სადგურიც მოახლოვდა და პრავადნიკმა ფული გამოგვართვა.

— ხომ კარგად გეძინათ?—იკითხა მან.

— გადასარევად!—ვუპასუხე მე,—აწი სულ ამ ვაგონით ვიმგზავრებ.

ბაქანზე იდგა ერთადერთი კაცი, რომელსაც რკინიგზელის ქუდი ეხურა.

— ჩვენ თბილისიდან ჩამოვედით,—ვუთხარით მას.

— ძალიან სასიამოვნოა.

მერე ჩვენ ავუხსენით, რომ პირველად ვართ ამ კურორტზე და არ ვიცით გზა როგორ მოვნახოთ.

— მე ვარ სადგურის უფროსი,—გვითხრა რკინიგზელის ქუდიანმა კაცმა,—ცნობათა ბიურო მოთავსებულია საპარიკმახეროში.

სადგურის უფროსს მადლობა გადავუხადეთ ამ ცნობისათვის და ახალ მისამართზე წავედით.

— გაპარსვა გნებავთ?—გვკითხა პარიკმახერმა.

— არა, ჩვენ გვინდა ცნობათა ბიურო.

— მე ვარ ცნობათა ბიურო. მე პარიკმახერიც ვარ.

— ძალიან კარგი საქმე ისაა, რომ ჩვენ ჩამოსულები ვართ.

— ბინას ეძებთ, არა? მიაკითხეთ ყარამანლაშხს. აქვე ცხოვრობს სადგურთან. თითო საწოლი—სამი თუმანი.

— ჩვენ ყარამან ლაშხი კი არა, გზა გვინდა, რომელიც «მერცხალში» მიგვიყვანს.

— ნუ ბრაზობთ, ქალიშვილო,—აუღელვებლად ჩაილაპარაკა პარიკმახერმა,—მე თქვენზე უარესიც მინახავს და ვერ გამაკვირვებთ. მაშასადამე, სანატორიუმი «მერცხალი». საავტომობილო გზას თუ გაუყვებით, «მერცხალამდე» ერთი კილომეტრია. არსებობს მეორე გზაც, რომელიც ტყეში კლდეებშორის გადის. ახალგაზრდა და უცოლო ხალხი სულ ამ გზით დადის.

— ჩვენ მეორე გზით წავალთ.—გადაჭრა ლონდამ.

— რომ დავიბნეთ? - ეჭვი გამოთქვა თენგიზმა.

— იმ კლდეზე წარწერებს ხომ ხედავთ? მაგ წარწერებს გაყევით და არ დაიკარგებით.

პირველი წარწერა, რომელიც ჩვენ შეგვხვდა, საკმაოდ უცნაური იყო: «თ. ა. შ. ზ. გ.»

— ეს არის ინიციალები,—აგვიხსნა ნიკომ.—ჟიულ ვერნის რომანებს ვინც კითხულობს, ასეთებს ადვილად მიხვდება.

— თავი დაანებეთ ჟიულ ვერნს,—გაიცინა ლონდამ,—აქ წერია: «თუ არ შემიყვარებ ზღვაში გადავვარდები».

— მერე თქვენ საიდან იცით, რა სწერია?

— გამოცდილებიდან! მაგის მეტი რა წამიკითხავს.

«ყოფნა არყოფნა საკითხავი აი ეს არის. ჰამლეტი მაღულარია»

«ტონია+რეზო=სიყვარულს».

— ამის დამწერი ეპოქას ჩამორჩა,—თქვა ლონდამ.

მარჯვნივ კლდეს ლექსი ამშვენებდა.

— ახალგაზრდა პოეტის დაწერილია,—ავტორიტეტულად შენიშნა ნიკომ.

— რატომ მაინცდამაინც ახალგაზრდის?—ვიკითხე მე.

— იმიტომ, რომ ლექსში პესიმიზმი იგრძნობა.

— ხნიერი პოეტების ლექსებშიც იგრძნობა პესიმიზმი. მათ პოემებს რომ ვკითხულობ, ცრემლები მომდის.

— ისინი ახალგაზრდობის დროსაა დაწერილი. აბა ახლანდელი წაიკითხე, გაგეცინება.

გავიარეთ კიდევ ცოტა მანძილი და ახალი წარწერა გამოჩნდა:

«ერთ თვეში სამი კილო დავიკელი».

— ეს იმას ნიშნავს, რომ სანატორიუმში მივედით,—დაბეჯითებით თქვა თენგიზმა.

ზღვიდან ამოცურდა მზეზე დამწვარი ორსართულიანი შენობა,

ეს იყო სანატორიუმი «მერცხალი».

(გაგრძელება იქნება)

ა. ხამხოლია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნახ. ჯ. ლოლუასი

— ერთი ნახმარი ნაძვის ხე გექნებათ!

ნახ. გ. ფირცხალავასი

— ქალბატონო, მაპატიეთ, თქვენ ჩემთვის ხურდა არ მოგიციათ.
— მიპატიებია.

საღამრო № 1



ერთ ძველმაღალ ავტორს

მაოცებს განა შენი კალამი—
შენი ზვიადი შუბლის კიაფი...
ჰოი, ნეტავი, შენი სალამიც
შენი წიგნივით იყოს იაფი!

მეგობრული რჩევა

შენ კვალს დატოვებ, და მსურს დატოვო,
შენი გონება მუდმივ წვაშია,
მაგრამ ნუ ბეჭდავ ლექსებს, ბატონო,
თორემ ისინი შენს კვალს წაშლიან.

აკ. მელოვანი

გაუხსნელი კოლოფი

იგი ჭკუის კოლოფია,
ცხადია და გასაგები,
მაგრამ სადღაც დაკარგვია
ამ კოლოფის გასაღები.

— ჩვენს გამგეს გაუგია საახალწლო მასკარადს რევიზორი ეხწრებაო და ცხვრის ნიღბით მოსულა.
— ეგ რევიზორს ვერ მოატყუებს, -ვერა ხედავ, მგლის ნიღაბი აქვს!

ნახ. თ. მირზაშვილისა

ლონისძიების პროექტი

(საახალწლო მზადებასთან დაკავშირებით)

1. ვინაიდან გარეთ თოვლი არ იქნება, აფთიაქში კი—ბამბა, ნაძვის ხეზე მოსაფანტავად გამოყენებულ იქნას ლეიბის ბამბა, უკიდურეს შემთხვევაში მატყლიც.

2. საახალწლოდ კაცი დაუბანელი რომ არ დარჩეს, რეკომენდებულია აბანოში წასვლა ორი კვირით ადრე.

3. ახალწლის დღეებში მილიციელებმა ხელკავით ატარონ მხოლოდ ახლობლები და ნათესავები.

4. შემუშავებულ იქნას საახალწლო დეპეშის საყოველთაო ტექსტი: „გილოცავთ ახალ წელს, დაესწარით მრავალს“. გადაცემა მოხდეს მხოლოდ გვარისა და მისამართისა. ტექსტს ადგილზე ჩაურთავენ.

5. დაევალოს მაცივარკომბინატს წელს მაინც გადმოიღოს ცენტრალურ გათბობათა მუშაობის გამოცდილება.

6. ახალწლის დღეებში „სტარი ადიოუდს“ აეკრძალოს ეზოებში ძველი მელოდიების შესრულება.

7. 31 დეკემბერს 12 საათსა და 0-0 წუთზე ოჯახებში თოფიდან (თუკი ასეთი რამ გააჩნიათ) მიცემულ იქნას თითო საახალწლო ბათქი.

8. არტელ „ზუსტმა დრომ“ თავისი საათები გაასწოროს აღნიშნული ბათქის მიხედვით.

რედაქტორი—ელგუჯა მაღრაძე. სარედაქციო კოლეგია: აკ. ბელიაშვილი, ნ. დუმბაძე, ს. კლდიაშვილი, ნ. მალაზონია, მ. ქარჩავა, ო. ჭელიძე. ხაქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

თბილისი. სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი“. Тбилиси. Сатирико-юмористический журнал „Нианги“.
რედაქციის მისამართი: ლენინის ქ. № 69. ტელეფონები: რედაქტორის—3-76-69, საერთო განყოფილების—2-13-29.

გამომც. № 1. ხელმოწ. დასაბ. 22/XII-1958 წ. ქაღ. ზომა 70×108 1/8, 0,5 ნაბ. ფურც. 1,37. პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. 14.
შეკვ. № 1381. უე 07864. ტირ. 40.000.

59

ВОЖЫК

1959 წლის 1 იანვარს ბელორუსიის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას უსრულდება 40 წელი. „ნიანგმა“ გადაწყვიტა ამ თარიღის აღსანიშნავად ბელორუსულ სატირულ-იუმორისტულ ჟურნალ „ვოჟიკიდან“ მოათავსოს რამდენიმე კარიკატურა.

ნახ. ვ. შვიაცოვისა

— მინდოდა გამოვსულიყავი ლოტერიის წინააღმდეგ, მაგრამ ენა არ მემორჩილება.

ნახ. რ. გრამაკისა

— რაშია საქმე?

— ვასილი ანდრეიჩმა კოლმეურნეობის ნახვა გადაწყვიტა.

ნახ. ზ. პავლოვსკისა

— კარგი უნაწილია ჩვენი რაიონის მდინარეები, ოღონდ იშვიათად გვეხტუმრება ხოლმე. ნეტავ თავისი სურვილი მაინც დაგვიტოვოს.

ნახ. ს. რამანოვისა

— კი მაგრამ, სადაა თქვენი უფროსი?

— ეგეურ, აქეთ!

ნახ. რ. გრამაკისა

— აი, დედაჩემის ნაკვეთზე რამდენი ყვავილია, დედაშენისაზე კი არაა.